ხობის მოამბე

№2 (7156)
28 თებერვალი,
სამშაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ინფორმაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №15 განკარგულების თანახმად

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №26 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები 2023 წლის 29 აპრილს გაიმართება.

* * *

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ფოთის, სენაკისა და ხობის საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად პარტიამ ტრაგიკულად გარდაცვლილი ირაკლი ხახუბიას შვილის, გიორგი ხახუბიას კანდიდატურა წარადგინა. ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

–აღსანიშნავია, რომ მამა–ირაკლი ხახუბია სწორედ ამ ოლქიდან იყო „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი. იგი მეორე ვადით იყო არჩეული პარალამენტის წევრად. მე-9 მოწვევის პარლამენტში 2016-2020 წლებში იყო ფოთის მაჟორიტარი საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“. ამავე პარტიიდან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარად აირჩიეს.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დანიშნა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის შუალედური არჩევნები ფოთის, ხობისა და სენაკის საარჩევნო ოლქში. პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე მიღებულიქნა გადაწყვეტილება აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში კანდიდატების დასახელების შესახებ.

პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ფოთის, სენაკისა და ხობის საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად პარტია წარადგენს გიორგი ხახუბიას კანდიდატურას.

პირველ რიგში, აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი არის ჩვენი კოლეგის, ირაკლი ხახუბიას შვილი. ბუნებრივია, ირაკლის სახელი და მის მიერ ფოთში, ხობსა და სენაკში შექმნილი ავტორიტეტი დაეხმარება გიორგის არჩევნებში გამარჯვებაში. თუმცა, გიორგი თავადაც გამოირჩევა პიროვნული თვისებებით, განათლებითა და პროფესიული გამოცდილებით, რომელთა გამოც პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ ის უპირობოდ საუკეთესო კანდიდატად მიიჩნია. გიორგის მიღებული აქვს განათლება კავკასიის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით.

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მას აქვს მდიდარი სამუშაო გამოცდილება. სხვადასხვა დროს ის იყო საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი და მოგვიანებით, ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე.

გიორგი წლების მანძილზე წარმატებით ეწეოდა კერძო სამეწარმეო საქმიანობას. გასულ წლებში, გიორგი ფოთში, ხობსა და სენაკში აქტიურად იყო ჩართული „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

წარმატებებს ვუსურვებთ გიორგი ხახუბიას. დარწმუნებული ვართ მის გამარჯვებაში“,–განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში, 1921 წლის 24 თებერვალს, კოჯორში, წითელ არმიასთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული ქართული არმიის ოფიცრის ივანე (ლოლი) იოსავას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლ (ბერბიჭაშვილმა) გადაიხადა.

მთავარანგელოზთა ტაძარში ანზორ სიჭინავას და გოგიტა ჩიტაიას თანაავტორობით გამოცემული წიგნის–„ივანე იოსავა“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნის პრეზენტაციას სასულიერო პირები, საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხობში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა დაიწყო

ქალაქ ხობში ხელოვნურსაფარიანი სტადიონი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, ადგილობრივი ბიუჯეტის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით აშენდება.

პროექტით გათვალისწინებულია ხელოვნური საფარის დაგება, განათების, ტრიბუნების და ელექტრო ტაბლოს მოწყობა. აშენდება ფეხბურთელთა გასახდელი შენობა და კეთილმოეწყობა ეზო.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან“ 105994,25 ლარით და ქვეპროგრამის „საჯარო სკოლების დაფინანსება“ „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა–გადაყვანის) ხარჯი“ ასიგნება 806245,24 ლარით. ასევე „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის 116 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 105,0 ათასი ლარი. სულ ბიუჯეტში შემოსულობები გადიდდა 1017.2 ათასი ლარით და განისაზღვრა 20743,8 ათასი ლარით .

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები აისახა დადგენილების პროექტში „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ განსაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში–3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს)–6.19 ლარს.

დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები დაინიშნა 2023 წლის 29 აპრილს, განკარგულების პროექტით „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 26 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, მერიის წინადადებით განისაზღვრა ადგილები და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა, ასევე წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით გამოიყო შესაბამისი შენობა-ნაგებობები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა საგანგებო მართვის მუნიციპალური გეგმის მომზადების საკითხებზე სწავლება გამართა.

ღონისძიება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით, ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.

აღნიშნული პროგრამა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან დაცვას ემსახურება და კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), ასევე, საქართველოს, შვეიცარიისა და შვედეთის მთავრობების მხარდაჭერით ხორციელდება.

სწავლების მთავარ მიზანს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირების და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების მომზადებას და მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება წარმოადგენდა. სწავლებაში, ასევე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა.

ხობის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების დეპარტამენტი მორიგ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის 5-კილომეტრიანი მონაკვეთის (ნოჯიხევი - ქ. ხობი) სრული რეაბილიტაცია დაიწყო.

პროექტის შესაბამისად: დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა გაბიონი, რკინა-ბეტონის კიუვეტები, ავტოპავილიონი, არხები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედანი, განთავსდება საგზაო ნიშნები.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 3 მილიონ 582 ათას ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „პრაიმ ბეტონი“ აწარმოებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში გაღმა ქარიატის და გამოღმა ქარიატის დამაკავშირებელი ხიდის და ხიდამდე მისასვლელი გზის მშენებლობა დაიწყო.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 4 მილიონ 689 ათას ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურულ პროექტს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

---

16 თებერვალს აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში.

ტურნირში სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის, ნოჯიხევის, ხეთის, ბიის და ქალაქ ხობის გუნდები მონაწილეობდნენ.

მემორიალური ტურნირის ფინალში სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის გუნდმა ხობის „ჭალე“ დაამარცხა და პირველობის გამარჯვებული გახდა.

ფინალურ შეხვედრას დათა ხურცილავას ოჯახის წევრებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული შეჯიბრება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით გაიმართა.

გვახსოვდეს წარსული!

სისხლიანი თებერვლის ექო...



დადგება თებერვალი და ყელში მებჯინება სევდა, სევდა ავადსახსენებელი 1921 წლის 24 თებერვლისა. გონებაში ხშირად ვიმეორებ გენიალურ ფრაზას „თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

გასული წლის დამლევს ჩემთვის (და არა მარტო) განსაკუთრებით პატივსაცემმა ხობის მეისტორიემ, უკეთილშობილესმა პიროვნებამ, უფლისმადლმოსილმა ბატონმა გოგიტა ჩიტაიამ სამშობლოსთვის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მონოგრაფიით „ივანე იოსავა“,–დამასაჩუქრა...

ბატონი გოგიტა ბატონ ანზორ სიჭინავას წიგნის თანაავტორი გახლავთ... წიგნში მოთხრობილია საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯართან ბრძოლაში 1921 წლის 24 თებერვალს კოჯორში გმირულად დაღუპული ქართული არმიის ოფიცრის, ბიელი ივანე (ლოლი) იოსავას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ავტორთა მიმართ უდიდესი პატივისცემისა, მაშინვე დავიწყე კითხვა და ვიდრე არ დავამთავრე, თვალი ვერ მოვწყვიტე. სიმართლე გითხრათ, ჩემდა სამარცხვინოდ, ამ ისტორიული პიროვნების შესახებ არაფერი ვიცოდი...

უდაოა, მღვდელ ლავრენტი იოსავას და ქრისტინე ზუხბაიას მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს აკვნიდანვე დაჰყვებოდა ღვთისა და ერის სიყვარული, სამშობლოს თავისუფლებისადმი ბრძოლის ჟინი... წიგნი დაწვრილებით გვამცნობს ივანე (ლოლი) იოსავას განათლებასა და ცხოვრებაზე.

წიგნის სიღრმისეულად გაცნობის შემდეგ სურვილი გამიჩნდა (ვგონებ ხობელთა სურვილსაც გამოვხატავ) უდიდესი მადლიერება გამოვხატო ხობის მუნიციპალიტეტის მერის დავით ბუკიას და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონ ლევან ქავთარაძის მიმართ, წიგნის გამოცემის დაფინანსების, ჩვენი ღირსეული წინაპრების ხსოვნის წარმოჩენასა და პატივის მიგებისთვის. დღეს ეს ყველაზე მეტად სჭირდება ხობის საზოგადოებას, ახალგაზრდობას, რადგან წარსულის გარეშე არ არსებობს მომავალი...

ჩვენი წინაპრების პატრიოტული სულისკვეთება გენეტიკურად მოჰყვებოდა ალბათ ხობელ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე 2008 წლის აგვისტოში ნებით მიიტანეს სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში.

ჩემი თანასოფლელი დინჯი ახალგაზრდა, პატიოსნებით გამორჩეული ოჯახის შვილი, ქვემო ქვალონელი გოგიტა ქარჩავა, როგორც კაპრალი, ოკუპანტებთან ბრძოლაში დაიღუპა.

პოლიციელი რამაზი კიტია კი ხურჩაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ემსხვერპლა დამპყრობელი „მეზობლის“ ტყვიას.

ხობელი ახალგაზრდები მიხეილ იოსავა, ლევან ჭოჭუა, გოგა ბერაია, დათა ხურცილავა, გოგა ჭითანავა, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა სენაკის სამხედრო ბაზის დაბომბვის მსხვერპლი გახდნენ, რეზერვისტი გმირები, მომავალი თაობებისთვის სამაგალითოები სამარადისოდ გახდნენ... სამშობლოსთვის თავგანწირულთა რიგებს შეუერთდნენ... დიდება და მარადიული ხსოვნა მათ უკვდავ სახელებს...

მჯერა, მკითხველი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ყოველ გახსენებაზე თავს ხრის და პატივს მიაგებს მათ სახელებს...

დაინტერესებულ პირებს, იმათ, ვინც ჯერჯერობით მიზეზთა გამო ვერ მოახერხა ამ წიგნის წაკითხვა, ვთავაზობთ ამონარიდებს წიგნიდან ივანე იოსავას იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან:

* * *

„რამდენიმე ქართველმა დალია სული ბრძოლის ველზე, რამდენი ჯანით სავსე ადამიანი მოწყდა სამშობლოს ცას და შთაინთქა ბრძოლის უფრსკულში, მაგრამ საერთო უბედურებას აორკეცებს ისიც, რომ ზოგჯერ დაუნდობელი ტყვია არ ზოგავს ხალხის მოამაგესაც, სპეტაკი ზნეობრივისა და მაღალი იდეალის ადამიანსაც“.

* * *

„ერის თავისუფლებისთვის სიკვდილი იყო უდიდესი მოვალეობის აღსრულება... საქართველოს საუკეთესო შვილნი შეეწირნენ მის თავისუფლებას...

ქართულ დემოკრატიას არაერთხელ გაუპოხიერებია დედამიწა თავისი სისხლით და უფლებაც აქვს მოითხოვოს თავის შვილებისგან, მომავალში მაინც მოუარონ იმ დიდ განძს, რომელიც შეძენილია დიდი წვითა და დაგვით!“

* * *

საქართველომ შეძლო ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. სწორედ ეს ვერ მოუნელებიათ ჩვენს მტრებს. რაც უფრო მეტად მტკიცდება ჩვენში ნებისყოფა დემოკრატიისა, მით უფრო მძაფრდება მტრების თავდასხმა დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

მერი ლაგვილავა.

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდდა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

კოლაუ ნადირაძე

თავგადასავალი გადამხდაო, ამ ლექსმა უნდა დაიტრაბახოს!

1985 წელს გამოვიდა ეს წიგნი–„პოეტის ათასი სტრიქონი“–„მერანში“. მზადდებოდა დიდხანს. დაახლოებით ათას-ათასი სტრიქონი არის მასში შესული ცამეტი ქართველი პოეტისა–„ 25 თებერვალი 1921 წ.“, რომელმაც ლამის შეაზანზარა მთელი იმპერია, კარგად იკითხება; თან ლექსია ისეთი, ვერაფერს მოუხერხებ! მე შენ გეტყვი, რაღაცა შეფარულად არის ნათქვამი ან მეტაფორულად ან სიმბოლურად, არა! პირდაპირ! ტაბახმელაც იქვეა, კოჯორიც იქვეა, გვარდიელებიც იქვე არიან, თბილისის დაცვისას დახოცილები. „წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილი ცელით“. ან ეს რეფრენი თუნდაც: „თოვდა, და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

აი ასე! ატყდა ერთი ამბავი!

ლექსის ბოლოს თარიღია: 1969 წელი. ხელს აწერს ბატონი კოლაუ ნადირაძე. ეს ლექსი მან, ცხადია, თავისთვის დაწერა, ამისი გამოქვეყნების იმედი მას არ ჰქონდა, მერე კი თავის მეგობარს, შალვა დემეტრაძეს, აჩუქა, გამომცემელი იყო ასეთი, ძალიან ცნობილი, ცისფერყანწელების მეგობარი... გარდაიცვალა შალვა დემეტრაძე, მისი არქივი მოხვდა მუზეუმში. აი რამდენი პირობა უნდა შესრულებულიყო, რამდენი რამ უნდა მომხდარიყო თავ-თავის დროზე, რომ ამ ლექსს დღის სინათლე ეხილა! სენსაციაა, საისტორიო ამბავია!..

რა თქმა უნდა, ეს რომ სტამბურად აწყობილი ტექსტი ყოფილიყო, ვის გაეპარებოდა, მაგრამ ფოტო იყო, კლიშე იყო და არავინ მიაქცია ყურადღება!

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი!

ტირაჟის ნაწილი უკვე გაეტანათ მაღაზიებში და გადაწყდა სასწრაფოდ უკანვე დაებრუნებინათ, ის ფურცელი ამოეხიათ და სხვა ჩაეკრათ. ამიტომ გავიქეცი და რამდენიმე ეგზემპლარი ვიყიდე. ეს უნიკალური გამოცემაა: არსებობს ორი ვარიანტი ერთი გამოცემისა... აქედან ერთი - აკრძალული და ეს აკრძალული - სულ რამდენიმე ცალია შემორჩენილი...

ახლა რა მოჰყვა ყოველივე ამას... „მერანის“ შვიდი თანამშრომელი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან:

მთავარი რედაქტორი მამუკა წიკლაური, მოადგილე მისი– იზა ორჯონიკიძე განყოფილების გამგე გრიგოლ ჯულუხიძე, სამხატვრო განყოფილების გამგე სპარტაკ ცინცაძე, მხატვრული რედაქტორი კარლო ფაჩულია, რაღა თქმა უნდა, წიგნის რედაქტორი ლეილა ბეროშვილი, ხოლო მხატვარი გოგი წერეთელი მოწვეული იყო ამ წიგნის გასაფორმებლად, ანუ „მერანის“ შტატიანი თანამშრომელი არ იყო, თორემ იმასაც დაატოვებინებდნენ სამსახურს. და როგორც მახსოვს, მთავლიტის ერთი თანამშრომელიც შეიწირა ამ წიგნმა, ის, ვინც მისი დაბეჭდვის ნებართვა გასცა.

მოკლედ, თავგადასავალი გადამხდაო, ამ ლექსმა უნდა დაიკვეხოს!

ლევან ბრეგაძე.

გვახსოვდეს წარსული!

უფლისა და საქართველოსთვის წამებული!

„სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული–საქართველოს, გვამს კი, რაც გინდათ ის უყავით!“

ამბროსი ხელაია

უფლისა და საქართველოს ათასობით წამებულთა და შეწირულთა შორისაა 1921-1927 წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია.

მაპატიოს, უწმინდესისა და უნეტარესის 1995 წლის 17 სექტემბერს წმინდანად შერაცხულის სულმა შეშფოთებისთვის, მაგრამ მინდა რამდენიმე ადამიანს დამატებით გავაცნო, ამ ღმერთკაცის მოწამეობრივი ცხოვრების მცირე მონაკვეთი...

გენიალურ ქართველ მწერალს, როსტომ ჩხეიძეს, თავის შესანიშნავ წიგნში „ხანი უნდობარი“ ბრწყინვალედ აქვს აღწერილი ამბროსი ხელაიას მოწამეობრივი ცხოვრებისა და ბრძოლის გზა, და არამარტო მისი. ბედნიერია ერი, რომელსაც ჰყავს როსტომ ჩხეიძის დარი მწერალი და ჭირისუფალი (სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობ), მაგრამ მისი სულგრძელობის იმედად, მოვიყვან მთელ პასაჟებს მისი წიგნიდან, მან ხომ ის შედევრი, მკითხველისთვის შექმნა...

სასამართლოზე ამბროსი ხელაიას წარმოთქმული სიტყვა, ქრისტეს სიტყვებს ემთხვევა–„ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენდა“, (ლუკა 23.28.).

„ოფიციალურ ტექსტებში ამ სახითაა გადმოცემული პატრიარქის გამოსვლის ფინალი, ზეპირგადმოცემა კი ჰეროიკულ პასაჟსაც უმატებს, როგორც აუცილებელ აკორდს, „რა, გსურთ ჩემგან ჯალათებო?!

„სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული–საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ ის უყავითო“!!!

მანამდე კი 1922 წლის 7 თებერვალს ამბროსი ხელაიამ, რომლის „სულიერ სიმტკიცეს და ქრისტიანულ ფანატიზმს უკვე ცდიდა უფალი“, გენუის კონფერენციას მისწერა „საქართველოს ეკლესია, ეს ძველის-ძველივე ფაქტორი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობითა და უნარით მოიპოვოს სახსარი არსებობისაო“...

...შესთხოვდა კულტურულ კაცობრიობას შეწევნას, რათა საქართველოდან გასულიყო საოკუპაციო ჯარი და ქართველ ერს საშუალება მისცემოდა, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ მოეწყო თავისი ცხოვრება“...

„მაშინ, ასი წლის წინათ გაილურსა კულტურული კაცობრიობა და მხოლოდ გულში უთანაგრძნობდა საქართველოსაც და მწყემსმთავარსაც, ვინც ქრისტეს ხსენებითა და პირჯვრის წერით გაივლიდა გოლგოთის გზაზე“...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილი გენუაში–„საპატრიარქოს კანცელარიის გამგეს, დეკანოზ იასონ კაპანაძეს ჩაუტანია და რა გასაკვირი იყო, რომ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ, დეკანოზი შეეცადა თურმე ამერიკისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ იქ ავტოკატასტროფაში დაიღუპა“?!

ქართულმა ეკლესიამ 1917 წლის 25 მარტს აღიდგინა ავტოკეფალია, რუსეთში გადასახლებული (როგორც არაკეთილსაიმედო) ამბროსი ხელაია სასწრაფოდ დაბრუნდა საქართველოში (უკვე სამუდამოდ) და 1921 წლის 1–5 სექტემბერს მოწვეულმა III საეკლესიო კრებამ, მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად აირჩია...

ამბროსი ხელაია დაიბადა 1861 წლის 19 ოქტომბერს სენაკის მაზრის სოფელ ინჩხურში (ამჟამად მარტვილის მუნიციპალიტეტი) ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლის, ზოსიმე ხელაიას ოჯახში... სწავლობდა მარტვილისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში, ეწეოდა ფართო სასულიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას. გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ განაგრძო საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, რა თქმა უნდა, საქართველოს ოკუპანტებისგან განთავისუფლებასთან ერთად.

რუსეთის უწმინდესი სინოდი, ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ, ჩვენს ეკლესიას მადლმოკლებულად გამოაცხადებდა და მორწმუნეებს მოუწოდებდა,–„არ მოიწვიოთ ქართველი ავტოკეფალისტი მღვდლები, არ მიიღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არც ქართულ ეკლესიაში შეხვიდეთ, თორემ უსათუოდ ჯოჯოხეთში მოხვდებითო“

...ამბროსი ხელაია კი–სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვას იმედით დაასრულებდა–„ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში–იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული, ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, როგორც მორწმუნე ვიტყვი–იყოს ნება ღვთისა!!!“

„...გზა გადაეტანათ შუაში, დერეფანი დაეგოთ, და სასამართლოსკენ ბადრაგი, რომ მიაცილებდა კათოლიკოსსა და სხვა სასულიერო პირებს, აქეთ-იქიდან წასეოდნენ, ლანძღავდნენ, ემუქრებოდნენ, წურბელებოო, კონტრევოლუცონერებოო, ხალხის მტრებოო, ძირს სამღვდელოებაო“...

...ფურთხის წვიმა აწვიმდა პატრიარქს...

და მიაბიჯებდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბოლშევიკურ „ალაიაში“, რათა ორიოდ წელიწადში სრულიად ამოშლილიყო მისი ხსენება საბჭოთა ისტორიის ანალებიდან და იატაკქვეშა ისტორიასა და მეხსიერებას შემოენახა მისი სახელი და ღვაწლი“...

ისევე, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დღე–26 მაისი, ისიც ხომ იატაკქვეშა ისტორიამ და მეხსიერებამ შემოგვინახა...

„...1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი, იმდენად ძნელი მოსაპოვებელი იყო–1990 წლამდე ბატონ ლევან სანიკიძესაც კი თავის წიგნებში–„მესამე დასის საქართველო“ კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის ნაცვლად, მისი პროექტი მოჰყავსო, კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი, რომელიც 1921 წელს დაიბეჭდა ბათუმში, ხვინგიას სტამბაში, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენსო, წერდა გაზეთი „სამშობლო“ (რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი) 1990 წლის 26 მაისს, (1921 წლის შემდეგ) პირველად დაბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დედანი...

...ამბროსი ხელაიას კი „სასამართლო“ 1924 წლის 19 მარტს დახვრეტას მიუსჯიდა, მაგრამ შემდეგ 9 წლიანი პატიმრობით შეუცვლიდა, 1925 წლის 10 მარტს ამნისტია მოუსწრებდა და გაანთავისუფლებდნენ და კვლავ განაგრძობდა ბრძოლას კათოლიკოს-პატრიარქის რანგში... თუმცა ამდენი ნაწამები და ნაგვემი–1927 წლის 29 მარტს აღესრულებოდა–65 წლისა...

...100 ათასმა მორწმუნემ მეტეხის ხიდზე ფეხი არ დააბიჯა ღვთისმშობლის ხატს და ერთი კვირა, მტკვარი წითლად შეღებილი მიედინებოდა. (ყველას თავები მოკვეთეს) თვით კაციჭამია ჯალალედინიც კი გაოცებული დარჩა, ამ საოცარი აქტით და ესეც სამშობლოსა და უფლის უკვდავებისთვის კეთდებოდა...

...და შემდეგ მღვდელი თევდორე და ისევ გენიალური ჩხეიძეები, მამა-შვილი ოთარ ჩხეიძე და როსტომ ჩხეიძე, სულმნათმა ოთარ ჩხეიძემ შექმნა შედევრი „თევდორე“, ხოლო ბატონმა როსტომმა ბრწყინვალედ აღწერა გზა „თევდორეს“ შექმნიდან მისი გამოცემიდან და შემდეგ ახალგაზრდული თეატრის მიერ (ახალციხის თეატრი, რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი) თბილისის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმოდგენისა...

„ტრაგედია 1609 წლის იმ გმირულ ეპიზოდს კი არ აცოცხლებდა მხოლოდ, მღვდელმა თევდორემ გზა-კვალი რომ აუბნია მალულად შემოპარულ თათართა ჯარს და ნაცვლად იმისა, ლუარსაბ მეფის სამყოფელისკენ წაეყვანა, ტყე-ღორეში ჩაკარგა და ქართველებს საუკეთესო საშუალება მისცა ლაშქარის შეყრისა და თათართა განადგურებისა. პიესაში თათარხანები მოითხოვენ: რაღაც მადლი, რაღაც საუნჯე რომ გქონიათ, სადღაც მიუვალ მწვერვალებში ჩამალული, ვაითუ ვინმემ მიაგნოს და დაეპატრონოს... ჩვენ დაგვაბარეთ, დავიფარავთ, შევინახავთო“...

...და თევდორე უნდა დაყაბულდეს თათარხანთა სურვილს, გზის მაჩვენებლად უნდა გაუძღვეს მიუვალი მწვერვალებისკენ და თავს დაატეხოს თანამოძმეთა რისხვა და გმობა, შეურაცხყოფა და ზიზღი, მაგრამ უნდა გაუძლოს გმობასაც და დამცირებასაც, როგორც იესო ქრისტეს სულის ანასხლეტმა და მის კვალზე მავალმა თათარხანები უფრსკულში გადაჩეხოს, თვითონაც დაიღუპოს...

...„გამოიკეტება მისი კარი, არავინ დარჩება, ვეღარც მის გვარს მოიხსენიებს ვინმე, მაგრამ ტაძარში ლოცულობდნენ და აღავლენდნენ სახელს–თედორე!..“

...„და როდესაც ახალციხის თეატრის დასი საგასტროლოდ თბილისს ეწვეოდა (1967წ.), სპექტაკლის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე რეჟისორს ტელეფონით შეეხმიანებიან და მოსთხოვენ: ესა და ეს ადგილები ამოიღეთო–პასუხობს: იცოდეთ საერთოდ მოვხსნი სპექტაკლსო...

ეს დიდ სკანდალს ნიშნავდა...

მარჯანიშვილის თეატრის დარბაზი უკვე ისე გადატენილიყო ხალხით, ნემსი არ ჩავარდებოდა...

ამასობაში ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიკომის მდივნები დაადგებიან თავზე, დიდად შეშფოთებულნი: პირდაპირ „იქიდან“ მოვდივართ, ნაბრძანებია სპექტაკლიდან ცალკეული პასაჟების ამოგდებაო...

ვერა და ვერ დაითანხმებდნენ და ტრაგედია ისე გათამაშდებოდა სცენაზე, როგორც ავტორს დაეწერა და რეჟისორსაც ცენზურის გარეშე დაედგა...

პიესაში თევდორე მღვდელი გამოყვანილია, ხალხის ნებისყოფის, სიწმინდის, უანგარობისა და ეროვნული ქედმოუდრეკლობის წინაშე შეურიგებლობის გამომსახველ სიმბოლოდ“...

„და ეს მღვდელია, უამრავლჯერ გაპამპულებული, შეურაცხყოფილი, დევნაში მოყოლილი, ლამის დაბეჩავებული სასულიერო პირი, რომელსაც თურმე დაცემული რწმენა უნდა აღედგინა, ქვეყნისთვის ყველაზე სანუკვარი და ძვირფასი საუნჯე ხელუხლებლად შემოენახა და დაერწმუნებინა ყველა, მთავარია, ტაძარი გადარჩეს, მლოცველები გამოჩნდებიანო!!“

ამ დღეებში საჩუქრად მივიღე ქართველი მეცნიერის და მწერლის, ანზორ სიჭინავას და ღირსეული ხობელის გოგიტა ჩიტაიას თანაავტორობით გამოცემული წიგნი, რუსეთის საოკუპაციო ჯართან მებრძოლი და 1921 წლის 24 თებერვალს სოფელ კოჯორთან გმირულად დაცემული 28 წლის ვაჟკაცის, ხობის რაიონის სოფელ ბიაში დაბადებულის, ივანე (ლოლი) იოსავას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

...კოჯორთან დაღუპული გმირები, 1921 წლის 9 მარტს, უკვე ოკუპირებულ თბილისში, სამხედრო ტაძრის გალავანის შიგნით დაუსაფლავებიათ, სამხედრო ტაძრის დანგრევის შემდეგ მის ადგილზე ამჟამინდელი პარლამენტის შენობის აშენების გამო ის საფლავები დაკარგულა. მაგრამ ამჟამად პარლამენტის შენობაზე არის მემორიალური დაფა. მიძღვნილი 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის ჯარებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ ქართველ იუნკერთა და მოხალისეთა ხსოვნისადმი. დაფაზე აწერია 15 გვარსახელი და რაოდენ საამაყოა, რომ მათ შორის არიან საქართველოს ეროვნული გმირი, მოწყალების და–მარო მაყაშვილი და ჩვენი რაიონის ღირსეული წარმომადგენელი–ივანე (ლოლი) იოსავა, არადა ისინი უამრავი იყვნენ. ქართველი ოფიცრები, ჯარისკაცები, გვარდიელები, მოხალისეები...

ყველანი უფლისა და საქართველოსთვის წამებულთა რიგებს შეუერთდნენ!

დიდება მათ სახელებს!

ედიშერ წურწუმია.

ხობი. თებერვალი, 2023 წელი

ჟურნალისტის ჩანაწერები

კვირაძალს წასაკითხი

თბილია სოფელი!..

...როგორც სარკეში, ისე აირეკლება ცხოვრება სოფელში.

ეს ის სივრცეა, სადაც ყველა, ყველაფერს ხედავს, ხშირად უმნიშვნელო დეტალსაც კი...იმახსოვრებს, ტრადიციული წეს- ჩვეების ერთგული და დამცველია, მეტი შინაგანი სისუფთავე და ზნეობრიობაა. ამიტომაც იტყვიან: სოფელი თბილიაო!..

ამასწინანდელ ჩანაწერებში ეს კარგად გამოჩნდა. სულ სხვა თვალით შევხედე ჩემი მშობლების განვლილ ცხოვრებისეულ ისტორიას. მიიცვალნენ მაგრამ გარკვეული კვალი დატოვეს.

გამაოცა ბ- ნ ბიჭუნა კვიკვინიას მოგონებამ: ზუსტად რომ ახსოვდა მამაჩემის მანქანის მარკა, ფერი და ნომერი. სხვა რა ჰქვია ამას... თუ არა სიყვარული?!

...გაცოცხლდა ჩემი ბავშვობაც...“– გვწერდა დედას უსაყვარლესი ძმისშვილი, ექიმ-რეანემატოლოგი ნინო ბურდული.

სათითაოდ ყველას: თავს გიხრით, ვინც არ დაიზარეთ... სოფლის უახლეს წარსულს თვალი გადაავლეთ... და შიგ თქვენი ბავშვობა და ყრმობა“ იპოვეთ“!

...მკითხველის შეფასებები ერთ მთლიან მხატვრულ პანოდ შეიკრა. სურვილმა მძლია, რომ მას ახალი ფერები შევმატო.

თაობა წავიდა!

რა ხდებოდა სახლში მათი წასვლის შემდეგ?!

მშობლების სულის საოხად, ჩემმა დამ, ეთერიმ (ხობის ცენტრალური აფთიაქის ფარმაცევტმა) და გული მამიდამ კიდევ ორი წელი აცოცხლეს სახლი. ორი წელი დარბოდნენ ეზოში... სამეფო პუდელი „პიფი“ და „ბათა“. მოსკოვში, მშობლებს დაუბრუნდა ბებიას და ბაბუას გაზრდილი სოფო.

ცრემლიანს...ახლაც აღმოხდება- ხოლმე: დავობლდიო მათი არყოფნის მერე.

ეს სულის ტკივილია სოფო...

შენ გამორჩეულად გიყვარს შენი ბავშვობის სივრცე!

ასეთსავე სიყვარულს მოგაგებებენ იქაურნიც!!!

ამიტომ ამბობენ... სოფელი თბილიაო!..

ორი წლის შემდეგ, გული მამიდამ და ეთერიმ სახლი დაკეტეს. წასვლამდე...გაასხვისეს ჩვენი ულამაზესი, შავკულულებიანი „პიფი“... მაგრამ ვაი ამ გასხვისებას...

დილიდან ისევ სახლისკენ მოდიოდა... სახლს შემოურბენდა... გვეძებდა... გვეძებდა საღამომდე..

ნაღალატევი... სახლს გარიდებული..

ერთგულებით სავსე და ამ ერთგულებითვე შეუდარებელი ოთხფეხა არსება!.

უბრალო საჭმელს ვინ აკადრებდა... სულ ხაჭაპურებს უცხობდა, სულმნათი დარეჯან კობახიძე

მაგრამ არა და ვერა... ვერ იგუა სხვა ოჯახი... ვერ გაგვცვალა სხვაზე!!!

დადარდიანდა. უჭმელობამ დააუძლურა და სული განუტევა!..

ბავშვობა საიდუმლოში ცხოვრებაა

წმინდა სოფიას სალოცავი ისევ გადმოჰყურებს და იფარავს ჩვენს ბავშვობის სახლს, რომელიც ხსოვნის ძეგლად დაგვიტოვეს.

საშინლად მტკივა, როდესაც იქ ჩავდივარ... და ყველა კუთხე-კუნჭულს მოვივლი, სადაც ოდესღაც, ქალაქურ ყაიდაზე, ცენტრალური გათბობა, ცხელი წყალი, აბაზანა და ეზოს გვერდით... ელექტრო წისქვილიც იყო(ესეც მამას ნოვაცია იყო).

რა შეგრძნებები მოდის?

მიზიდავს... და განმიზიდავს გასაიდუმლებული სიჩუმე!!!

მამა წავიდა... დედაც აღარ დარჩა!..

ჩემი მშობლების სიყვარულმა, როგორც იტყვიან, მთა და ბარი–ანუ არაგვის ხეობა და სამეგრელო შეაერთა. მალევე მიხვდა მთიული პატარძალი, რომ ჟესტების ენით, დიდხანს ვერ გაიტანდა თავს, მეგრული ენა უნდა ესწავლა!

ერთ წელიწადში, დედა, ბებიაჩემს, ფარცვანიას ქალს მეგრულად დალაპარაკებია.

გასაოცარი ის იყო, რომ ქართულენოვანი ქალი შვილებს მეგრულად გვზრდიდა. ზაფხულის არდადეგებზე სამი თვით მთიულეთში, იქიდან კი ხევში (არშა, გაიბოტენი) აგვიყვანდნენ დასასვენებლად... იქიდან დაბრუნებულები ლიტერატურულ ქართულს სკოლაში ვსწავლობდით.

მშრომელი, დაუდეგარი ქალი იყო დედაჩემი, სოფიო ბურდული. მლეთაში(დუშეთის მუნიციპალიტეტი) დაბადებულს და გაზრდილს, საგვარეულო სალოცავი, ლომისის წმინდა გიორგის სალოცავი იფარავდა. ღვთისმოშიში და მორწმუნე იყო. სამეგრელოში, მეორედ იქ დასახლდა, სადაც წმ. აიასოფიას სალოცავი გორაკიდან გადმოგვყურებდა. გამთენიისას იმ ადგილიდან ლოცულობდა, საიდანაც მზის სხივებს ჯვარედინად ფანტავდა აიასოფია... ღვთიური სურათი იყო... ბუნების მიერ ბუნებრივად დახატული!..

დედამ უმცროსი ძმაც სამეგრელოში გაზარდა. დედიძმა გოგი ბურდულიც მეგრულად მეტყველებდა!

დედაც და მამაც (ვანო კვიკვინია) ნოვატორები იყვნენ. დროს უსწრებდნენ. არ იყო შუქი სოფელში... მაგრამ ჩვენი კუთხე (10 ოჯახი) გენერატორით ნათდებოდა.

პირველი ტელევიზორიც ჩვენს სახლში აციმციმდა. ანტენა მოსკოვიდან ჩამოყვანილ მემონტაჟეებმა დადგეს აია სოფიას გორაკზე. უზომოდ გაიხარეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა.

როგორც კი ხმა დაირხა, ხობში სამუსიკო სკოლა იხსნებაო... მაშინვე შეგვიძინეს პიანინო და აკორდეონი.

ახალ-ახალი ნოვაციებით იმდენი ქნეს... რომ ქვეყნის პირველი პირი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე პირველმაისში ჩამოიყვანეს. მანამდე კი მინერალური წყლებიდან (ჩრდ. კავკასია) ჩამოყვანილი ორი კურდღელი ისე გაამრავლეს, რომ მებოცვრეობის ფერმა შექმნეს. აი, ამის სანახავად ჩამოვიდა მჟავანაძე. მას თან ახლდა კოლმეურნეობის თავჯდომარე, ნეტარხსენებული ჟორჟი ბუკია, მეტი არავინ. არავითარი დაცვა! მათ პატივსაცემად ოჯახში სუფრა გაიშალა. პირველმა პირმა კურდღლის ხორციც მიირთვა, მეგრული კერძებიც და დედას ჰკითხა: მთიულ ქალს ხინკალი ხომ არ დაგვიწყებიათო..

თქმა და ცხელი ხინკლის შემოტანა ერთი იყო სუფრაზე...

შემდეგი ნოვაცია ბონდის ხიდის შეცვლა იყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციით.

მთის მდინარე მუნჩია, განსაკუთრებით გაზაფხულზე ისე ადიდდებოდა ხოლმე, რომ ბონდის კონწიალა ხიდს, ლამის ანგრევდა. მამას ორგანიზებით მუნჩიაზე („ტახტთან“) ახლოს რკინა-ბეტონის ხიდი აშენდა. სავალ ნაწილზე ლითონის სქელი ფირფიტებით. მანქანით, პირველმა მამამ გაიარა და სოფელმაც ამოისუნთქა. მუნჩიის ადიდების უკვე აღარავის ეშინოდა. ეს ხიდი ახლა სოფელს ამშვენებს. მანქანის გავლისას ხმაურობს და ეს ხმა მთელ სოფელში ისმის.

აღდგომას, როდესაც სოფელში ჩავდივარ... და ხიდი ახმიანდება... უნებურად, ჩემთვის აღმომხდება ხოლმე:

–მამა მოდის!!!

ყველაზე მძიმე პერიოდში განერიდნენ წუთისოფელს. სამეგრელოში მხედრიონი თარეშობდა. პირველი პრეზიდენტის მომხრეებს მდევარი დასდევდა...

–გამარჯვება... საფლავში ჩამომძახეთო, დაგვიბარა მამამ და... წავიდა!..

აღარც დედამ ისურვა მის გარეშე ამ ქვეყნად დარჩენა... სოფელში, სამი ბიჭი(გუდა კობახიძე, გოგი ლომაია და გეზელა თოდუა) თავისთან იხმო და ტომსი-



კით, მლეთის მიწა ჩააბარა. დიდხანს აღარ უცოცხლია. შემოდგომაზე მიიცვალა.

...უყვარდა სიყვარული... რომელმაც არაგვის თვალუწვდენელი მთებიდან ბარში გადმოხვეწა და შეიყვარა... სამეგრელო, რომელიც მისი სიყვარულისა და შვილების ოდაბადედ იქცა!.. სამეგრელოდან ამაღლდა ცად... მაღლობზე!

ასეთები იყვნენ... ჩემი მთიული დედა და მეგრელი მამა.

სოფლის პირობებში, სოფლის შესაძლებლობებს უსწრებდნენ... პირველობდნენ ისე, რომ არ ხმაურობდნენ... ჩრდილში იდგნენ და ნოვაციებით ამდიდრებდნენ სოფელსაც და პირადულსაც.

რომ იტყვიან: იცხოვრეს!!!

„განბანვა“ მუნჩიაში

ყველა ჩვენთაგანს ერთი ოდაბადე, ერთი მშობლიური დედა-მდინარე და ერთი სამშობლო აქვს. ყველაზე ფერადი და გაუხუნარი ამ ადგილების მოგონებებია. ხსოვნის კედელი სწორედ აქედან აღიმართება.

ჩემს მოგონებებში ისევ მიედინება ბავშვობის მდინარე მუნჩია, რომელიც არაფრით ჰგავს სხვა მდინარეებს. მასზე ორი ბონდის ხიდი კონწიალობდა. ერთი საჯობავოში, მეორე–საკვიკვინიოში. აქ ტომბაზე ეკიდა და წყალში გადახტომაც შეიძლებოდა.

სექტემბერი სამეგრელოში ცხელია. თაკარა მზე მდინარის გამოწვევად მოიაზრება. სკოლიდან რომ შინ ვბრუნდებოდით, გზად საბანაოდ უნდა შეგვევლო. 10–12 წლის ერთმანეთს შეზრდილი გოგო-ბიჭები ერთად ვბანაობდით... და ის, რაც დღეს მაოცებს და მსიამოვნებს, ჩვენი „განბანვის“ რიტუალი იყო. გოგონები სკოლის სტანდარტული ფორმებით მუქი, ყავისფერი ქსოვილისგან შეკერილი, ბიჭები კი ნაცრისფერი შარვლებით და პიჯაკებით (შემოსილნი) ერთად ვხტებოდით ხიდიდან მდინარის სიღრმეში. გაგრილებულები, წურწურა ფორმებით მუნჩიის ნაპირას ვიწრიტებოდით და ოდნავ შემშრალები ისევ შევსრიალდებოდით სიღრმეში.

ასე გრძელდებოდა... არ ვიცი სანამდე... ალბათ, სანამ ძაგძაგს არ დაგვაწყებინებდა..

ემბაზივით იყო მუნჩია... ვერ ველეოდით წმინდა მდინარეს, ჩვენი ბავშვობის ყველაზე დიდ იდუმალებას!..

არც არავინ გვასწავლიდა... ასე ისე მოიქეცითო, ბიჭებთან ნუ გაშიშვლდებითო... რაღაც დაუწერელივით... ტაბუდადებულივით იყო და ჩვენც ეს მუნჩიისპირა სამანი... არასოდეს გადაგვილახავს!!!

დღევანდელი, მოღიავებული ტანსაცმლის ფონზე, ჩვენი სასკოლო ფორმები წმინდა სამოსელივით ფრიალებენ და ბავშვობიდან გვიქნევენ ხელს!..

მიამიტი ღორჯოები

ბავშვობის ყველაზე დიდი იდუმალება მდინარე იყო. ნარაზენიდან მოსჩქებდა მდინარე მუნჩია და გზადაგზა შენაკადებს იერთებდა. კირქვებზე რომ გადაივლიდა, მარჩხა ადგილებში თავს უკეთ დაგვანახებდა.

დედები რომ ღომს შემოდგამდნენ, მეზობელი ბიჭები ბასრი ჩანგლითა და მოკაუჭებული მავთულებით დაღმართზე დაეშვებოდნენ, შარვლის ტოტებს აიკაპიწებდნენ და მდინარეში გაიშლებოდნენ. თითქმის ყველა მოდიდო ქვაში თევზი იყო შეფარებული... თუ თავს გაჰ ყოფდა, კუდი უკან რჩებოდა... საოცარი ის იყო, რომ... ზოგჯერ არც არაფერს მალავდა... სლიპინა ტანით გაუნძრევლად იჯდა წყალში... აუხსნელი იყო მისი გარინდების მიზეზი!..

მერამდენედ ვეკითხებოდი მეზობლის ბავშვებს აეხსნათ ჩემთვის, თუ რატომ არ გარბოდნენ ღორჯოები საფრთხის მოახლოებისას?! იუმორით მომახლიდნენ–მიდი და ჰკითხეო...

წყლით პირსავსენი ხომ ვერ მეტყოდნენ, თუ როგორ სტკიოდათ ბასრი ჩანგლის კბილები...

მავთულზე მოფართხალე ღორჯოებს რომ სახლში აიტანდნენ, შემდეგი პროცესის მონაწილე მე არასოდეს ვყოფილვარ. ეზოში... ხის ქვეშ ჩამოვჯდებოდი და ღორჯოების ბედზე ვდარდობდი... სიცოცხლეს რომ უსწრაფავდნენ მეზობლის თანატოლი ბიჭები... მაწუხებდა ჩემი უმწეობა!..

უწყლობის გამო მუნჩიიდან ღორჯოები გამქრალან... ალბათ ხობის წყალში დაიდეს ბინა, უფრო დიდ მდინარეში... კითხვა ისევ მაწუხებს: ნეტა იქაც... ისეთებად დარჩნენ?!

ჩემი ბოროია... გულუბრყვილო ღორჯოები!..

სვეტლანა კვიკვინია,
ჟურნალისტი აფხაზეთიდან

სელთათია



ეროვნული ცნობიერების მისტერიით

(ენვერი სალაყაიას მოსაგონრად)

ეროვნული ცხოვრების დრამაში თანი-თან იკვეთება ეპიზოდები, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში კრისტალდება და ილექება, დარდად და წუხილად, სევდად და ტკივილად.

ვისაც ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულისთვის გაუდევნებია თვალი, დამერწმუნება, რომ ღიმილი და ზეიმი სანატრელად გვქცევია

ლებოდა, დნებოდა სანთელივით და ძალას კარგავდა ერთი კარგი ქართული ლექსის შეგონება:

„დაო, ეს ცხოვრება მწარე სინანული, შენი წუხილია- ჩემი სიბრალული, ღმერთო გევედრები ისე გამაცილო, არც ის ააცრემლო, არც მე ამატირო!..“ ენვერი წერდა და იქმნებოდა დიდი წიგნი მისი პოეტური მზეკაბნობისა და ლირიკოს პოეტს ემუქებოდა ველი ყვავილთა- ხავერდოვანნი მწვანედ მოლივლივე... ენით აღუწერელი ტკივილისთვის ამზადებდა ამ „ბუტუტია“ კაცს და ეს „ტაძარი შავი“ -ულამაზესი და უნიჭიერესი ქალიშვილის ბაკოს მოკვდინება გახდა. აქ კი გამოელია ჯანი და ძალა, ალმაზგირ კიბულანივით ტირილი და მოთქმა დაიწყო- ოღონდ სიტყვებსა და სტრიქონებში... ჩააცვა ლექსებს სევდის მისეული ჯუბა... შიგა და

არ უნდოდა:

„კუბოში წოლას მირჩევნია
კარცერში ჯდომა.
უსაქმურობას მირჩევნია მიწას
ვბარავდე,
უშენოდ ყოფნას აღარც ვიცი
დავარქვა რაღა,
რადგან შენს იქით არც რა რჩება
კუბოს კარამდე.
მზე თვალს რომ ახელს,
სიხარულით ვლოცულობ შენზე,
თვალს რომ დავხუჭავ, ოცნებაში
შენი ხატია,
მადლობა უფალს, რომ გამხადა
ისე მდიდარი,
რომ სიყვარულის გარდა
არაფერი არ მაბადია“.

თუმცა, მაინც ლირიკული ქარაგმით მიესწრაფა დასალიერს, ის ხომ მაინც ისაა, რასაც ამ დიდებულ ლექსში ამბობს. უფლისთვის ხომ ორივე სოფელი ერთია

და რექვიემულ ბურუსში ჩავძირულვართ ყელამდე... ბოლოს მოძალებულმა ტრაგედიებმა კი, ისე დაგვაოსეს და დაგვზაფრეს, ხვალინდელი დღისა შეგვშინებია. სიკვდილის შიშს მოუცავს ქვეყანა და საკაცეთი... ტკივილად გადავანდნენ ზეშთა საუფლოში ჩემი უსაყვარლესი ადამიანები, რომელთაგან გულის ძარღვი ჩამწყვიტეს ჩემი გოგა და მამუკა გვასალიების, შორენა (ბაკო)სალაყაიას მოულოდნელმა და უცაბედმა გარდაცვალებამ. ამას ენვერ სალაყაიას სიკვდილიც დაერთო და:

„შავდებიან დღეები ტკივილების
ცვალებად,
ამ სოფლიდან-იმ სოფლად
მეფობს გარდაცვალება...“

არადა, ჩვენ სიცოცხლისა და სიყვარულის, ლხინისა და ტრფიალების მატება გვწადია და გვიხარიან... მაგრამ რას გაუგებ განგებისა და უფლის ჯერჩინებას?!

ჩვენი ენვერი, სიტყვისა და ღირსებითი სიმაღლის ადამიანი წავიდა ჩვენგან. და მიეფარა ნისლეთს. მისი თვალდასარჩენი პატიოსნება, განათლება და გასაოცარი წიგნიერება, ასე რომ გამოარჩევდა მრავალთაგან და აღამაღლებდა...

ობლობაში გაიზარდა, დედის სითბოსა და „ნანას“ დანატრებული. ორი ძმის ტრაგიკულმა სასრულმა, როგორც თავად ამბობს ერთგან, „დამიტყვევეს სიყვარულის სხივი...“ და მთელი ცხოვრება ამ ნათელი სხივის გასამზიანებლად იღვწოდა თავის უსაყვარლეს დასთან დიანასთან ერთად. ეს უკანასკნელი, როგორც თავისი ძმა, თავადაც გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და კეთილმოსაგრეობით.

ახსოვთ ხობელებს და არა მხოლოდ მათ, მაღალი თანამდებობის პირი დიანა სალაყაია, ინტელექტუალი, თბილხმიანი, მეგობრული და უზადო სიყვარულის შემძლები. მისი სულიერმყოფობა პოეზიისადმი და საერთოდ ლიტერატურისადმი, ცალკე საუბრის თემად შეიძლება დავისახოთ. მისეული თარგმანები: პასტერნაკისა, ბლოკისა, ანა ახმატოვასი და სხვათა, არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. დაჰყურებდა ენვერი საყვარელი დაიკოს ცხედარს, იცრემ-

შიგ წამოსცდებოდა იმედიანი სიტყვა, ნათელი სტრიქონი, თუმცაღა ნაძალადევად გამოთელილი, გულიდან სისხლად ამოგაზული. ვატყობდი ილეოდა, ასრულებდა მარადიულ სათქმელს, მაგრამ არ ნებდებოდა მაინც, მის კვალს პოეტური ნიჭიერებითა და ცამაღლობით მიდევნებულ ულამაზესი ქალიშვილის–დიკასა და შვილიშვილების სიყვარული ექაჩებოდა სამზეოსკენ... აქეთ მისი უღლის მწე და მოსიყვარულე მეუღლე თამილა, თავად სვეგამწარებული და ცრემლად მოღურღულე დედა, ეთავნებოდა უბედურებაზე გამარჯვებისკენ, მაგრამ სულ ტყუილად, ვერ დაძალეს, ვერ უქნეს პირი ბარჩხალისკენ... ჩათავდა და ჩაინავლა...

„საკურთხეველზე დავდებ
უსიტყვოდ,
რაც გამაჩნია შემოსაწირი.
თუმც, პატარა ვარ წვეთის
ოდენა,
მაგრამ ტრფობაში არ მაქვს
ნაპირი.
წყურვილებს ისევ წყურვილით
ვიკლავ
და ამტყდარ ვნების ვსუნთქავ
ვულკანით,
რადგან სიკვდილი საშინელია
განგების ბოლო ამოსუნთქვამდის.
განგებას ქვეყნად ვინ გაექცევა,
მაგრამ ძალგიძს რომ მასზეც
ამაღლდე,
ერთხელ სიკვდილი რომ არ
შეგეძლოს
ოღონდ ისე არ დაპატარავდე.
ხელისუფალი მე ვარ ჩემივე,
უსაზღვრეობა ჩემი ფრთებია
ჩემი ფიქრები ბრუნავს შენს
ირგვლივ
ან სხვაგან სადღა გაფრინდებიან?!“

ეს ენვერის ბოლო ლექსებიდანაა, სადაც უსასრულობის რეფრენს ეპარებიან სევდის უნაპირო ჭინკები, თავად „ტკივილის ჭინკებს“ რომ უწოდებს „რექვიემად“ სახელდებულ ლექსში.

ელოდა, განა არ ელოდა, მაგრამ ეშინოდა იმ დიდი სიშავისა, რომლის წარმოსახვაც კი ზარავდა, დეპრესიულად განაწყობდა აწმყოსადმი და უმრუმებდა იმედს მომავლისას. აი, ის, რაც უნდოდა და

და ერთობს პოეზიისთვის ასე ლამაზად და უსასრულოდ:

წვიმს და მიმაცილებს სოფლის
შარა-გზაზე,
სულით ნათესავთა მწუხრი
პროცესია,
თუ კი სიყვარულში აღარ
დაიხარჯე,
არარაობაა ყველა პროფესია.
ქარი აფათურებს ხელებს
ხეივანში,
წვიმის ხშირ წვეთებში თოვლიც
გაერია,
სული უერთდება ღვთიურ ზეცის
ნათელს,
მიწის ჯურღმულებში გმინავს
მატერია.
მართლა ცრემლებია ქვეყნის
საოცრება,
ცრემლში იდუმალი უხვი ფერებია,
სულს რომ ჩაწვდება და ცად
რომ აგიტაცებს,
ნათელ სიმებით რომ მოგეფერებიან.
წვიმს და მიმაცილებს სოფლის
შარა-გზაზე,
სულის ნათესავთა მწუხრი
პროცესია,
მაღლა მეცხრე ცაზე ვიწვით
სანთელივით,
მე და სიყვარული, მე და პოეზია.

ნათელი დაგადგეს, ჩვენო უნიჭიერესო, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულო, ეროვნულსულოვანო და ღირსეულო ზვიადელო, ჩვენო მართალო მეგობარო, შენი ცხოვრება კაშკაშა ნოთედ წარუძღვება მრავალთ, განსაკუთრებით შენს ძვირფას ნაგრამს და საამაყოდ დაუტოვებს გზას შენგან ასე მართლად და კეთილად განვლილს. შენი, როგორც უაღრესად განსწავლული ისტორიკოსის საწუხილო, უძველესი კოლხეთი და წყვდიადში ჩაფლული მისი მითაყამინდელობა, მჯერა იპოვის ნათელს და შენს უჭკვიანეს შვილიშვილებს არ დაავიწყდებათ ჩამოგძახონ, დიდებული პოეტის სტრიქონთა პერიფრაზით: „თენდება, პაპავ, კოლხეთია ფეხზე დამდგარი“...

არ შეგეშინდეს, განა ყველა სიკვდილის შვილები არა ვართ და ჩვენ- ჩვენს დროს იქ არ მოვალთ, ჩვენივე სევდით?!

ნათელი დაგადგეს, ძვირფასო მეგობარო და თანამებრძოლო... მომენატრები!..

ლაშა გვასალია

სალომე ცხადაია-ბუკია

ხობს უმძიმესი დღეები დაუდგა... უფალმა ერთდროულად რამდენიმე გამორჩეულ ახალგაზრდას თავისთან უხმო...

ტკივილმა და გოდებამ კარდაკარ დაიარა, ცა მოიქუფრა და ისეთი წვიმები დაიჭირა, რომ იტყვიან, ცა ფეხად ჩამოვიდა... მომეჩვენა, ცრემლის წვიმა მოვიდა ხობში...

სალომე ცხადაია–მამუკა ბუკიას სიყვარულით სავსე ოჯახს ბოძი გამოეცალა... ორი ვაჟის დედა, გამორჩეული საჯარო მოხელე, დედისერთა...

გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო უყვარდა ყველას, ვინც იცნობდა, ვისაც სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა.

ხალისიანი, პირმცინარი, კულტურული, სასიამოვნოდ მოსაუბრე, კარგი მოქართულე, კეთილშობილი... ალბათ, დრო უნდა გავიდეს, რომ შევძლოთ მასზე საუბარი... ახლა, ამ მძიმე დღეებში ემოციები ჭარბობს სათქმელს...

აქ დასარჩენი სახელი ხომ დიდი და ლამაზი ჰქონდა, იქ წასაღები კი უფრო მეტად დაუგროვებია, თუმც თავი არასდროს გამოუჩენია, ქალური კდემამოსილებით მოსილი საქმეში პრინციპული იყო...

მოუსწრია და ზღვა სიყვარული დაუთესავს, ამიტომაც ცრემლებით გააცილა დიდმა და პატარამ...

თითქოს ბუნებაც გრძნობდაო, დაკრძალვის დღეს გამოიდარა, მზის სხივები ათბობდა მზისფერთვალას–საუკეთესო მეუღლეს, დედას, მეგობარს. საფლავი კი ცრემლით დამბალიყო...

სალომემ მოასწრო შვილებისთვის დაეტოვებინა იმედი, რომ მის მიერ დათესილი სიკეთე გაუნათებთ სტუდენტისა და მოსწავლის გზას, კელაპტრად დაენთება მათი ცხოვრების გზაზე.

კალამი არ მომყვება, მტკივა გაუსაძლისად, რადგან სალომე სხვებთან ერთად წლები მილამაზებდა ავკარგიან წუთისოფელს.

წავიდა...და დარჩა მეხსიერებაში ჩვენი ციმციმა გოგო... სიკვდილიც მოიხდინა,ზურგზე მსუბუქად მოირგო უდიდესი სიყვარული და საგზლად გაიყოლა, რომელიც ალბათ, ღრმა მოხუცებულობამდე ეყოფა...

მჯერა, იმიერშიც სილამაზედ შეაბიჯებს, ბევრს უპატრონებს, სითბოდ ჩაეღვრება გაყინულ გულებს...

უფალს ებარებოდე სალომე, ტკბილო და სასიამოვნო „დიდო ქალბატონო,“ ნახვამდის... თუმც შენ ხომ არსად წასულხარ, შენი ოჯახისა და მეგობრების ხსოვნაში დარჩი სამარადჟამოდ...

ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა....

მერი ლაგვილავა.

ამქვეყნიური ცხოვრების სამუდამოდ დასრულების აღწერა არასდროს ყოფილა იოლი. სიკვდილზე წერისას იცი, რომ ცხოვრება არ არსებობს ამ დაუნდობელი ფაქტის გარეშე, მაგრამ, როდესაც წერ მეგობარზე, რომელიც ბავშვობიდან შენი ყოვედღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო და აღარ არის ფიზიკურად, მაშინ ხვდები, რომ შენი ცხოვრების რაღაც ნაწილი მასთან ერთად დასრულდა.

სალომე ცხადაია იყო ჩვენი ბავშვობის ტკბილი მეგობარი, რომელიც თავისი არსებობით ალამაზებდა ჩვენი და ჩვენი პატარა ქალაქის ყოველდღიურობას. მას ყველა იცნობდა, როგორც გულიან, ენერგიულ, კეთილმოსურნე, მოყვასის სიყვარულით გამორჩეულ გოგოს, რომელსაც მუდამ ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ის იყო კარგი ოჯახის ძლიერი დედაბოძი და ორი საუკეთესო ვაჟკაცის დედა გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით, საქმისადმი ერთგულებითა და პასუხისმგებლობით. არ არსებობდა პრობლემა თუ გამოწვევა, რომელსაც ის თავს ვერ გაართმევდა. მისი ყველა ქმედება სხვათა სიხარულისა და ბედნიერებისკენ იყო მიმართული, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?“

... დასრულდა მისი მიწიერი ცხოვრება. გული გვტკივა, ჩვენო ლაღო და გულკეთილო მეგობარო. არ არის ადვილი მწარე რეალობასთან შეგუება, მაგრამ გვჯერა, რომ სხვა განზომილებაში გადაინაცვლე და მარადისობას შეერწყა შენი სული.

მადლობა მეგობრობისთვის, ერთგულებისთვის, სითბოსა და სიყვარულისთვის.

თანაკლასელების სახელით თეა ვადაქარია.

სულთათანა

„გაასცილეს...“
ნიკოლოზ (რობიკო) ჭითავა



უახლოეს დროში ბევრი ჩვენი თანამემამულე გაეყარა საწუთროს და მარადიული „ავტოგრაფი“ დატოვა მუნიციპალიტეტის მატიანეში. ყველა მათგანი თავისებურად ქსოვდა იმ ხიბლსა და მშვენიერებას კოლორიტი, რომ ჰქვია. ერთერთი მათგანი გახლდათ განათლების სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკი, ფუძემტკიცე ოჯახის თავკაცი ხობის კოლორიტი პიროვნება ბატონი ნიკოლოზ (რობიკო) ჭითავა.

იგი გააცილეს ახლობლებმა, მეგობრებმა და საზოგადოებამ ნაღდი ქართველისა და ჭეშმარიტი მოქალაქის ეპითეტით. ჰუმანური, კეთილსინდისიერი, თავმდაბალი ქვეყნის, ოჯახის სამეგობროს, სამეზობლოს სიყვარულით გულანთებული და გულთბილი კაცი სპორტის მოამაგე და „ბერმუხა“, რომელიც იყო სიკეთით და მადლით მცხოვრები ამ დედამიწაზე, სადაც ჯერ კიდევ ღვთისწყალობით შეიძლება ავისა და კარგის, თეთრისა და შავის გარჩევა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

„ადამიანის გარდაცვალება მარადიული სიცოცხლის დასაწყისიაო“, გვასწავლის ბიბლია, სული ზეციურში ისევ აგრძელებს სიცოცხლეს, გრძნობს ყველაფერს და განიცდის. მეც მჯერა ამ გენიალური შეგონების და დარწმუნებული ვარ ადამიანის გარდაცვალება მარადიული სიცოცხლის დასაწყისია, რადგან სიკვდილი ყოველთვის არ ნიშნავს სიკვდილს და ის ბევრჯერ სიცოცხლეა. ბატონი რობიკოს სიცოცხლე გრძელდება მის დიდ ოჯახში ოაზისივით, რომ ხასხასებს დახუნძლული შვილებითა და შვილიშვილებით.

ძნელია, ასეთი ძვირფასი ადამიანის დაკარგვის შემდეგ სანუგეშო სიტყვები უთხრა ოჯახს, მეუღლეს დიდებულ ქალბატონ ეთერის, რომელიც დედაბოძად უდგას შვილებს, შვილიშვილებს, მაგრამ ფაქტია, წავიდა უსაყვარლესი მეუღლე, მამა და ბაბუა.

„მამაჩემი გმირი არ ყოფილა, ის იყო პატიოსანი, ერთგული, შრომისმოყვარე, საიმედო საყრდენი და დამრიგებელი“. ასე დაახასიათა, ბატონმა გიამ, მამა ტრადიციულ ქელეხზე და მოკრძალებული მადლობა გადაუხადა ყველას დაფასებისთვის.

უცნაურია ადამიანის ცხოვრება, წლების მანძილზე იბრძვი დროსა და სივრცში დასამკვიდრებად, იბრძვი იმ ხერხებითა და მადლმოსილებით, რაც შენმა საგვარეულო წინაპრებმა მოგმადლა. ზოგჯერ აღწევ მიზანს, ზოგჯერ გზაშივე გეკარგება ორიენტირი, ხან წარმატებულია მთელი შენი მცდელობა, ხან ამაოდ იხარჯები, იბობოქრებ, იბობოქრებ და ბოლოს არცერთი აღარ რჩება არავისგან, ხსოვნის მეტი, ხსოვნა კი ისეთი რამეა, თაობიდან თაობაში რომ გადადის ანთებული სანთლის სუსტი, მაგრამ წმინდა ნათებით და რაც უფრო სუფთა და ჰანწმენდილია იგი, მით უფრო მეტად გრძნობ იმიერში გარდასულთა სიახლოვეს ვის სიცოცხლესაც უკვე შენ იგრძელებ შენში ჩარჩენილი ხსოვნის საშუალებით... ხსოვნა კი უკვდავია...

ორმოცი დღე მიილია... გახსენების უნარი ღვთიური ნიჭია სანთელ-საკმევლი, რომ ეფინება ჩვენს მომავალს, იმედს გვისახავს, სიცოცხლეს აზრს აძლევს, ბატონი რობიკოს მსგავსნი იმიტომ იბადებიან, რომ ადამიანებს სიცოცხლე გაულამაზონ, ისინი არ კვდებიან, დიდხანს აგრძელებენ არსებობას მადლიერი შთამომავლობის ხსოვნაში.

ბატონმა რობიკომ საამაყო შთამომავლი დატოვა, რომლებიც ღირსეულად გაარძელებენ სახელოვანი მამის ტრადიციებს ლამაზად, ქართულად.

ნაირა ბერაია.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

სალომე ცხადაია-ბუკიას

გარდაცვალებას და მწუხარებაში თაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ახალგაზრდების

გიორგი სიჭინავას და დავით აკობიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მათ ოჯახებსა და ახლობლებს.

გიორგი სიჭინავა და დავით აკობია

დავით აკობია

გიორგი სიჭინავა

21 თებერვლის სუსხს მოჰყვა გაუსაძლისად ტკივილიანი ინფორმაცია...

ხაშურთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ორი რჩეული ახალგაზრდის დავით აკობიას და გიორგი სიჭინავას სიცოცხლე ემსხვერპლა... შავმა ღრუბელმა დაფარა ხობის წილი ზეცა....

ორი რჩეული გიორგი–ინგა და მურთაზ სიჭინავების და დავითი /დათო/–ლორა და როდიონ აკობიების მართლაც სასახელო შვილები...

სიტყვა უძლურია... ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას გაუბედურებული მშობლების დაგუბებული მწუხრის ხმა არღვევს...

არადა წინ ნათელი ცხოვრების გზა ელოდათ... უამრავი ოცნებებით და მიზნებით.

ოქტომბერში დაბადებულებმა 24 წელიწადი მიითვალეს მხოლოდ... ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო, მუშაობაც დაიწყეს, მაგრამ... წუთისოფლის კანონებს ვინ აღუდგება.

გიორგი მრავალ ტანჯვაგამოვლილი, აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის ერთადერთ ვაჟს დათოს ძმასავით შეეზარდა...

უფალს ეშმაკმა სძლია და იმქვეყნიური სამყოფელისკენ სავალი გზაც ერთად აირჩიეს....

უფალს ებარებოდეთ ბიჭებო!..

ძნელია თქვენი ოჯახების სანუგეშებელი სიტყვების მოძებნა...

ნათელში იყავით!

მერი ლაგვილავა

ვანო შეროზია



კიდევ ერთი ჩემი რესპონდენტი წავიდა... დეკემბრის სუსხიან დღეს სამსახურში თავის საყვარელ პროფესიას (ელექტრიკოსი იყო) ემსახურებოდა. საახალწლო განათებებს ამზადებდა... იმ დილით ჩვეულებრივ ადრე მოსულა, ყველას მოგვესიყვარულა (ვიდრე სასწრაფო მოვიდოდა და ქუთაისში გადაიყვანდა). მოფერებაც მოასწრო. ჩვენი სიყვარულიც თან გაიყოლა.

მას შემდეგ ყოველი დილა ჩემთვის ასე იწყებოდა:-ვანოსირა იცით?- საიმედო არაფერი,_იყო მისი მეგობრების პასუხი...

გულმხიანი კაცი იყო ვანო (ვანიჩკა) შეროზია, ხშირად ფიქრიანი, აცრემლებული თვალები ჰქონდა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შვილებს, შვილიშვილებს, ოჯახს გადაყოლილი ,,შავტუხა“ ვანო ყველას უყვარდა...

დამთავრდა მისი ბოლო სატანჯველი... უფალს მიენდო, მიებარა, ნათელში იყავით, ბატონო ვანო...

პირველ მარტს მისი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა. უფალს ებარებოდეთ.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის

სალომე ცხადაიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებს და ახლობლებს.

ქალბატონი სალომე იყო კვალიფიციური საჯარო მოხელე, გამორჩეული თავისი პასუხისმგებლობითა და საქმისადმი ერთგულებით.

ხობის მუნიციპალიტეტს დააკლდა პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ქალბატონი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის

სალომე ცხადაიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

ხობის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცენტრის ბუღალტერს თამილა გვასალიას მეუღლის

ენვერ სალაყაიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან პოეტისა და პუბლიცისტის გაზეთის ერთგული ავტორისა და მკითხველის

ენვერ სალაყაიას

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანუგრძნობენ მეუღლე თამილა გვასალიას და შვილ დიკა სალაყაიას ოჯახს.

მედეა არჩილიას ბავშვობიდან ვიცნობ, ის ჩემი ვაჟიშვილის თანაკლასელი გახლავთ. ლამაზი და საინტერესო გოგონაა.

ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და თავისი პროფესიით სხვადასხვა ბანკში მუშაობდა...

ორიოდე წელია მის ახალ და საინტერესო პროფესიაზე გავიგე, „ხელმარჯვე ოსტატი“ გამხდარა. საუკეთესო არჩევანია, ალბათ უფრო სარფიანი და ანაზღაურებადი.

ჩვენს ოჯახში სხვადასხვა ნაკეთობები გვაქვს მის მიერ დამზადებული, ლამაზი და სასურველი. მიხარია, რომ ასეთი ნამუშევრების შემქმნელი ხართ.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

საუკეთესო არჩევანი

უპირველესად მინდა მკითხველს გაეცნოთ, ვინ არის მედეა არჩილია?

–დავიბადე და გავიზარდე ქ. ხობში. დავამთავრე მე-2 საჯარო სკოლა. პროფესიით ეკონომისტი ვარ. 14 წელი ვიმუშავე საბანკო სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე...

როდის და საიდან გაგიჩნდათ იდეა, ულამაზესი ნაკეთობების შემქმნელი ყოფილიყავით?

–რამდენიმე წლის წინ, სრულიად შემთხვევით, მოვისმინე ტექნოპარკის სივრცეზე, რომელმაც დამაინტერესა. რეალობა ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე მოლოდინი მქონდა. ეს გახლავთ სივრცე, სადაც ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა დაეუფლონ ახალ პროფესიებს. ამ არჩევანს შორის ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა ლაზერული აპარატის შესაძლებლობები.

მიზნის მიღწევაში და სურვილის ახდენაში დაგეხმარათ ვინმე თუ თავად მოგიწიათ ყველაფრის გაკეთება?

–სასწავლო კურსი ზუგდიდის ტექნოპარკში გავიარე, რომელმაც შემდგომშიაც შემიწყო ხელი რეალიზებაში და საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებაში. ეს არის სივრცე, რომელთანაც დღემდე ვთანამშრომლობ. თუმცა ის ფაქტი, რომ დღეს დამოუკიდებლად შემიძლია გავაგრძელო საქმიანობა, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ დამსახურებაცაა. 2021 წელს პროექტში მონაწილეობა და დაფინანსება მივიღე, რომლის შემდეგაც შევიძინე სამუშაო დანადგარი.

მუშაობაში ყველაზე მეტად რას აქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას. რა მასალებით ქმნით ფანტასტიკურ ნივთებს?

–სამუშაოდ ძირითადი მასალა გახლავთ ხე, რომელიც შემდეგ მოთხოვნისამებრ მუშავდება ფერებში, რისთვისაც ვიყენებ აკრილს, გუაშს, დამცავ ლაქს. ჩემთვის მნიშვნელოვანია ნამუშევრის ხარისხი, ინდივიდუალიზმი, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნებს ერგება.

როგორ დაიწყეთ, რა იყო ის პირველი, რომელიც შექმენით და ინტერესი გაგიღრმავათ?

–პირველი იყო საყურე, ხელჩანთა, რომელმაც მეგობრების წრეში მოწონება გამოიწვია და სურვილი, რომ მეტი ნამუშევარი ეხილათ. ეს ყოველივე გახდა სტიმული „ალმეს“ შექმნის და ბაზარზე აქტიურად გასვლის.

მედეა, ძალიან ნიჭიერი ხართ, თქვენს ძირითად სპეციალობასთან ერთად საუკეთესო საქმეს დაეუფლეთ, დაახლოებით რა დრო სჭირდება თითოეული ნაკეთობის შექმნას?

–ყველა ნაკეთობა ინდივიდუალურია და სხვადასხვა დროს მოითხოვს. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე დღესაც საჭიროებს მზადების გარკვეული ეტაპების გავლას.

ვინ იყო ის პირველი, ვისაც თქვენს მიერ შექმნილი ნივთები აჩვენეთ და სიურპრიზიც გაუკეთეთ, ე.ი. ის არის თქვენი ნამუშევრების პირველი შემფასებელი და დღესაც დამხმარე?

–პირველად ნამუშევრები მეგობრებს და თანამშრომლებს გავუზიარე იმ სივრცეში, სადაც ფიზიკურად მიწევდა აღნიშნული ნივთების შექმნა. დღეს კი პირველი შემფასებლები ოჯახის წევრები არიან.

რა დროის შემდეგ გადაწყვიტეთ გეფიქრათ ხელნაკეთი ნივთების რეალიზაციაზე, სად და როგორ ახერხებთ ამას. იმედია, შეკვეთებიც მრავლად გაქვთ? შობა-ახალი წლის დღეებისთვის განსაკუთრებული შეკვეთები და სამზადისი გქონდათ?

–რეალურად დროის სულ მცირე მონაკვეთი იყო ამ ჰობის ბიზნესიდეად ქცევამდე. საწყის ეტაპზე იყო მხოლოდ ონლაინ მაღაზია, სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ უკვე გაცემული შეკვეთების დათვალიერება და ახლის შეკვეთა. თუმცა დღეს უკვე რამდენიმე ადგილას შეუძლიათ ფიზიკურად დაათვალიერონ და შეიძინონ „ალმეს“ პროდუქცია. ვინაიდან ძალიან ბევრი სასაჩუქრე არჩევანი გვაქვს. ნაკეთობები პოპულარობით სარგებლობს, როგორც ახალი წლის დღეებში, ასევე სხვა დღესასწაულებზე მაშინ, როცა აქტუალურია საჩუქრების გაცემა.

უჩვეულოდ საინტერესო რამე თუ შეგიქმნიათ და ალბათ თქვენთვის დაიტოვეთ, არა?!

–ნამდვილად ხდება ხოლმე, როცა ნივთს შეკვეთის გარეშე, ექსპრომტად ვამზადებ იმდენად გიყვარდება, ვერც ფიქრობ, საერთოდ როგორ შეიძლება ფასი დაადო, არც გასაყიდად გემეტება...

დღეისდღეობით სასაჩუქრე ნაკეთობის შეძენა შეგიძლიათ: ხობში, შარტავას პირველ ნომერში.

კიდევ რაიმე იდეის განხორციელებას ხომ არ გეგმავთ?!

–დიახ, ნამდვილად არჩევანის გაფართოების მიზნით, საწარმოო მასალის მრავალფეროვნებას ვგეგმავ, რომ მომხმარებლებს შევთავაზო მეტი, ვიდრე მხოლოდ ხის ნამუშევრები.

დაგემშვიდობებით!

მადლობა თქვენ და გაზეთ „ხობის მოამბეს“.

ნანი კილასონია

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.